

შპს „დუსან ჯორჯია“

**2019 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება**

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	290427	877833
სავაჭრო მოთხოვნები		2083047	2112905
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		127563	39605
სხვა მარაგები		3501258	5371150
სხვა მიმდინარე აქტივები		10749	112266
ბიოლოგიური აქტივები თვითღირებულების მოდელით		2732	2732
სხვა არამატერიალური აქტივები		22173	28884
ძირითადი საშუალებები	3.2	477110	686738
სულ აქტივები		6515059	9232114
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		1704985	4658661
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		8609	4429
გამოუმუშავებელი შემოსავალი		292928	76397
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.3	512602	-
სულ ვალდებულებები		2519123	4739487
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		12	12
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		3995923	4492616
სულ საკუთარი კაპიტალი		3995935	4492628
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6515059	9232114

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	3.4	14805853	19952033
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(11770937)	(16799407)
პერსონალის ხარჯი		(1444022)	(1276604)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(181230)	(200271)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		-	-
საკონსულტაციო ხარჯი		(23216)	(62528)
საგადასახადო ხარჯი		(5545)	(8554)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(125000)	(253404)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(14802)	(12757)
იჯარის ხარჯი		(205634)	(173845)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(227469)	(167972)
ცვეთა და ამორტიზაცია		(90416)	(369028)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.5	(992866)	(324289)
სხვა ხარჯები		(117001)	-
საოპერაციო მოგება		(392285)	303374
გაუფასურება		-	-
საპროცენტო შემოსავალი	3.6	9516	24192
საპროცენტო ხარჯები	3.6	(42181)	-
საკურსო სხვაობა		(411034)	(191275)
სხვა შემოსავალი		807574	-
მოგება დაბეგვრამდე		(28410)	136291
მოგების გადასახადის ხარჯი		(9796)	(16672)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(38206)	119619

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	12	5883373	5883385
სხვა ცვლილება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	119619	119619
დივიდენდის განაწილება		(1510376)	(1510376)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	12	4492616	4492628
სხვა ცვლილება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(38206)	(38206)
დივიდენდის განაწილება		(458487)	(458487)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	12	3995923	3995935

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(610201)	1517305
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(446717)	50177
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	444132	(1472526)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(612786)	94956
სავალუტო კურსის ეფექტი	25380	(8015)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	877833	790892
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	290427	877833

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „დუსან ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2012 წლის 15 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404955036, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, საქართველოს სამხედრო გზაზე მუხათგვერდის სასაფლაოზე ასახვევ გზასა და ფირმა "შანი"-ს შორის. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. საანგარიშო პერიოდის დასრულების მომენტისათვის კომპანიის წილის მფლობელები არიან: შპს „დ.კ. კომპანი“ (ს/კ426522809)-51%; დავით გიორგობიანი (პ.ფ.01017000104)- 40%; გია მუჯირი (პ.ფ.01017001181) – 4%; მიხეილ გაბრიჩიძე (პ.ფ.01026006748)-5%.

1.3. კომპანიის დირექტორია ალექსი ასკურავა (პ.ფ.01008009721).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სამშენებლო ტექნიკით ვაჭრობა, მშენებლობის ტექნიკის და მოწყობილობების იჯარა და სპეცტექნიკის სარემონტო მომსახურება.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფას-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები

და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	2019	2018
ნაღდი ფული ლარებში	554	166
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	289437	876928
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	436	739
სულ	290427	877833

3.2. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ძალოვანი მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები და მოწყობილობები	სულ
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	260	40979	1228025	413329	63506	259492	2005590
შემოსვლა	0	0	2034	0	15529	42812	60376
გასვლა	0	0	(931468)	(37398)	0	0	(968867)
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	260	40979	298590	375930	79035	302304	1097099
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	0	(5842)	(937573)	(209957)	(31247)	(134232)	(1318852)
ცვეთის ხარჯი	0	(1567)	(36554)	(64340)	(11424)	(39117)	(153003)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	0	0	814467	37398	0	0	851865
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	0	(7408)	(159661)	(236899)	(42672)	(173350)	(619990)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2019 წლის 1 იანვარი	260	35137	290452	203372	32259	125259	686738
ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი	260	33571	138930	139032	36363	128954	477110

3.3 სასესხო ვალდებულებები:

როგორც 2018 წლის, ასევე 2019 წლის ბოლოს კომპანიის ფინანსური ვალდებულებები შედგება ადგილობრივი ლიცენზირებული ინსტიტუტებიდან ნასესხები ბიზნეს სესხებისაგან.

3.4 ამონაგები

	2019	2018
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	13911585	16727563
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	894268	3224470
სულ	14805853	19952033

3.5 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

	2019	2018
საოფისე ინვენტარის ხარჯი	13180	9399
საკანცელარიო ხარჯი	573	89
კომპიუტერის ხარჯები	2364	1514
კომუნიკაციის ხარჯები	21756	20895
დაზღვევა	66595	46957
საბანკო ხარჯები	35314	31227
მივლინების ხარჯი	38145	32323
რემონტი (გარდა ავტოტრანსპორტისა)	71041	49228
საავტომობილო ტექნიკის შეკეთება/რემონტი	52397	71406
წარმომადგენლობითი ხარჯი	3871	3377
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	687630	57623
საქველმოქმედო ხარჯები	-	250
სულ	992866	324289

3.6 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები:

2019 წლის კომპანიის საპროცენტო შემოსავლები შედგება ადგილობრივ ბანკებში განთავსებულ საბრუნავ ფულად სახსრებზე დარიცხული სარგებლისგან, ხოლო საპროცენტო ხარჯები გაწეულია საბანკო ბიზნეს სესხებთან მიმართებით.

შპს "დუსან ჯორჯია"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3.1	290427	877833
სავაჭრო მოთხოვნები		2083047	2112905
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		127563	39605
სხვა მარაგები		3501258	5371150
სხვა მიმდინარე აქტივები		10749	112266
ბიოლოგიური აქტივები თვითღირებულების მოდელით		2732	2732
სხვა არამატერიალური აქტივები		22173	28884
ძირითადი საშუალებები	3.2	477110	686738
სულ აქტივები		6515059	9232114
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		1704985	4658661
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		8609	4429
გამოუმუშავებელი შემოსავალი		292928	76397
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.3	512602	-
სულ ვალდებულებები		2519123	4739487
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		12	12
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		3995923	4492616
სულ საკუთარი კაპიტალი		3995935	4492628
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6515059	9232114

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____/ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.

შპს "დუსან ჯორჯია"


საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	3.4	14805853	19952033
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(11770937)	(16799407)
პერსონალის ხარჯი		(1444022)	(1276604)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(181230)	(200271)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		-	-
საკონსულტაციო ხარჯი		(23216)	(62528)
საგადასახადო ხარჯი		(5545)	(8554)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		(125000)	(253404)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(14802)	(12757)
იჯარის ხარჯი		(205634)	(173845)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(227469)	(167972)
ცვეთა და ამორტიზაცია		(90416)	(369028)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.5	(992866)	(324289)
სხვა ხარჯები		(117001)	-
საოპერაციო მოგება		(392285)	303374
გაუფასურება		-	-
საპროცენტო შემოსავალი	3.6	9516	24192
საპროცენტო ხარჯები	3.6	(42181)	-
საკურსო სხვაობა		(411034)	(191275)
სხვა შემოსავალი		807574	-
მოგება დაბეგვრამდე		(28410)	136291
მოგების გადასახადის ხარჯი		(9796)	(16672)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(38206)	119619

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.



შპს "დუსან ჯორჯია"


საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	12	5883373	5883385
სხვა ცვლილება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	119619	119619
დივიდენდის განაწილება		(1510376)	(1510376)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	12	4492616	4492628
სხვა ცვლილება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(38206)	(38206)
დივიდენდის განაწილება		(458487)	(458487)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	12	3995923	3995935

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი

30.09.2022 წ.



/ალექსი ასკურავა/

შპს "დუსან ჯორჯია"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(610201)	1517305
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(446717)	50177
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	444132	(1472526)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(612786)	94956
სავალუტო კურსის ეფექტი	25380	(8015)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	877833	790892
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	290427	877833

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად.

დირექტორი _____ /ალექსი ასკურავა/

30.09.2022 წ.